

## ოქტომბერი, 2024 კლიმატური დახასიათება

ოქტომბრის თვეში ამინდს საქართველოში, ძირითადად, განაპირობებდა ევროპის სხვადასხვა ნაწილზე განვითარებული ციკლონების აქტივობასთან დაკავშირებული პროცესების პერიოდული ზემოქმედება, როდესაც ქვეყნის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა გრილი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელებას, რაც თავის მხრივ, იწვევდა ძლიერი ინტენსივობის წვიმებს, ხანგრძლივ ნალექიან ეპიზოდებს და შედარებით გრილ ამინდებს.

ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ნორმის ფარგლებში ან უფრო დაბალი იყო (ნახ.1). ტემპერატურის გადახრამ მრავალწლიური ნორმიდან საშუალოდ  $-0.7^{\circ}\text{C}$  შეადგინა, უდიდესი უარყოფითი გადახრებით ( $-1.2$ ,  $-1.8^{\circ}\text{C}$ ) მცხეთა-მთიანეთში და კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთ რაიონებში. ტემპერატურის დადებითი გადახრები ( $+0.5^{\circ}\text{C}$ -მდე) მხოლოდ ქვეყნის ცალკეულ რაიონებში დაიკვირვებოდა.

ოქტომბრის საშუალო ტემპერატურა ქვეყნის დაბლობ და ვაკე ტერიტორიაზე  $+13$ ,  $+17^{\circ}\text{C}$ , ხოლო მთაში და მაღალ მთაში  $+8$ ,  $+12^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში აღინიშნა, უდიდესი მნიშვნელობებით შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთის დაბლობ ნაწილში, უმცირესით - სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ტერიტორიაზე.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმები ქვეყნის ფარგლებში თვის პირველ დეკადაში (7-8 ოქტომბერი) დაფიქსირდა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას ოქტომბრის თვეში ადგილი არ ჰქონია. ტემპერატურამ ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს  $+31$ ,  $+34^{\circ}\text{C}$  შავი ზღვის სანაპირო ზოლში და კოლხეთის დაბლობზე მიაღწია.

ოქტომბერში ყველაზე დაბალი ტემპერატურები, ძირითადად, თვის ბოლო რიცხვებში დაიკვირვებოდა, როდესაც აბს. მინიმუმები მთაში და მაღალ მთაში, ასევე, შიდა ქართლის ბარში  $-2$ ,  $-7^{\circ}\text{C}$ -მდე დაეცა. მრავალწლიური სიდიდეების გადაფარვას ოქტომბრის თვეში, არც მინიმუმების შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია.

ნალექების რაოდენობის მიხედვით, ოქტომბრის თვე ქვეყნის უმეტეს ტერიტორიაზე ნორმაზე საკმაოდ მაღალი ნალექიანობით ხასიათდებოდა. მრავალწლიურ ჭრილში, დაწყებული 1956 წლიდან, ეს იყო რიგით მესამე ყველაზე ნალექიანი ოქტომბერი 2010 და 2004 წლების შემდეგ (ნახ.2).


ყველაზე მომატებული ნალექიანობა აღინიშნა შავი ზღვის სანაპირო ზოლში და კოლხეთის დაბლობზე, სადაც ნალექების თვის ჯამები ნორმალურ მნიშვნელობებს 2-3-ჯერ აღემატებოდა. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა (700-800 მმ) შავი ზღვის სანაპირო ზოლში მოვიდა, ხოლო ყველაზე მშრალი პირობები (მრავალწლიური საშუალო მნიშვნელობის 30-50%-ის ფარგლებში) მცხეთა-მთიანეთსა და კახეთის ცალკეულ რაიონებში დაიკვირვებოდა.

როგორც ჩანს, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში ნორმაზე მაღალი ნალექიანობა საქართველოში განპირობებული იყო როგორც ნალექიან დღეთა სიხშირით, მათ შორის, ხანგრძლივი გადამბულად ნალექიანი პერიოდებით, ასევე, სანაპირო რაიონებში ადგილი ჰქონდა უხვნალექიან ეპიზოდებსაც.


18 ოქტომბრიდან 22 ოქტომბრამდე სახიფათო მეტეოროლოგიური მოვლენების კატეგორიის უხვი ატმოსფერული ნალექები აღინიშნა ქვეყნის დასავლეთ ნაწილში: აჭარა-გურიასა და სამეგრელოს ზოგიერთ რაიონში. კერძოდ, ფოთში 19-20 ოქტომბერს მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობამ (341 მმ) თვის ნორმას 1.5-ჯერ გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ ფოთში ძლიერ წვიმას თან ახლდა ქარბორბალა. განსაკუთრებით ძლიერი ინტენსივობის წვიმა აღინიშნა აჭარაში (ქობულეთი), სადაც 18 ოქტომბერს დღეღამის განმავლობაში 50-წლიანი განმეორებადობის ნალექი (235 მმ) მოვიდა, რაც ოქტომბრის თვის კლიმატური ნორმის 74%-ს შეესაბამება. ხოლო მრავალწლიურ ჭრილში, დაწყებული 1956 წლიდან, ნალექების დღეღამური მაქსიმუმების რიგით მეორე რეკორდული მაჩვენებელია ქობულეთისთვის 2001 წლის შემდეგ (15.08.2001 - 261.3 მმ). ამავე პერიოდში მაღალმთიან აჭარასა და გურიაში ადგილი ჰქონდა დიდთოვლობას.

გურიასა და სამეგრელოში (ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ფოთის მუნიციპალიტეტები), ადგილობრივი მასმედიის ცნობით, უხვი ნალექის შედეგად დაიტბორა საკარმიდამო ნაკვეთები და სახლების პირველი სართულები,

დაზიანდა გზები და ინფრასტრუქტურა. შეფერხებები იყო შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ცალკეულ მონაკვეთებზე. უამინდობის გამო, ფოთის სკოლებსა და ბაღებში შეჩერებული იყო სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი.



ნახ.1. ივლისის თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურის ანომალიები საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში



ნახ.2. ატმ. ნალექების ივლისის თვის ჯამების ანომალიები პროცენტებში საბაზისო პერიოდთან (1991-2020 წ.წ.) მიმართებაში